ლექსიკა

მოსწავლე _____

წაიკითხე თითოეული წინადადება. ყოველი წინადადების ქვეშ მოცემულია სამი სავარაუდო პასუხი (ა, ბ, გ).

შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).

პირველი მაგალითი:

ლალის თეთრი **კაბა** აცვია. **კაბა** არის:

ა) საჭმელი ბ) ფეხსაცმელი გ) ტანსაცმელი

უნდა შემოხაზო პასუხი გ) ტანსაცმელი, რადგანაც ამ წინადადებაში კაბა არის ტანსაცმელი.

მეორე მაგალითი:

ღორი ცხოვრობს სადორეში. ძროხა ცხოვრობს _____ .

ა) საძინებელში ბ) ბოსელში გ) საძროხეში

უნდა შემოხაზო პასუხი ბ) ბოსელში.

ასეთ წინადადებაში არ ჩაწეროთ გამოტოვებული სიტყვა, მხოლოდ შემოხაზეთ.

---

1. გია და ნიკა ერთ ეზოში ცხოვრობენ. ისინი …… არიან.

   ა) კლასელები. ბ) მეზობლები. გ) ნათესავები.

2. პამიდორი, კომბოსტო, კარტოფილი არის …… .

   ა) ბოსტნეული. ბ) ტკბილეული. გ) ხილი.

3. ამ წიგნში მოთხრობილია კაქტუსების ოჯახის ისტორია. აქ <u>**ისტორია**</u> ნიშნავს:

   ა) ამბავს. ბ) გაკვეთილს. გ) მოგონებას.

4. თაფლი ძალიან …… და გემრიელია.

   ა) მწარე. ბ) ტკბილი. გ) ცხელი.

5. დედამ ლიზის მშვენიერი კაბა უყიდა. აქ <u>**მშვენიერი**</u> ნიშნავს:

   ა) გამჭვირვალეს. ბ) ლამაზს. გ) ჭრელს.

LIVEWORKSHEETS

6. ზამთარში დღე მოკლეა, რადგან მზე …… ამოდის.

ა) ადრე. ბ) არასოდეს. გ) გვიან.

7. მოედანზე თამაშის დროს ფეხბურთელი ბურთს ფეხით ისვრის …… .

ა) აუზში. ბ) კალათში. გ) კარში.

8. …… სურათს და თქვი, რომელი საათია?

ა) დააკვირდი. ბ) მოუსმინე. გ) უპასუხე.

9. მზიას თითი სტკიოდა და მალამო …… .

ა) გაიკეთა. ბ) მიიღო. გ) წაისვა.

10. მზიას …… ორი ჩანთა.

ა) არის. ბ) აქვს. გ) ჰყავს.

11. როცა ჩემს პატარა დას ზღაპარს ვუკითხავ, ის ყურადღებით …… .

ა) იძინებს. ბ) ლაპარაკობს. ბ) მისმენს.

12. გოგონებს მოსწონთ ყვავილების კრეფა. აქ **<u>კრეფა</u>** არის:

ა) დათვალიერება. ბ) მოწყვეტა. გ) ხატვა.

13. დედა სადილს ამზადებს. აქ **<u>ამზადებს</u>** ნიშნავს:

ა) აკეთებს. ბ) ინახავს. გ) მიირთმევს.

14. როცა ლიას ყელი სტკივა, დედა ექიმთან რეკავს. **<u>ექიმი</u>** არის ის, ვინც:

ა) ავადმყოფებს მკურნალობს.
ბ) ბავშვებს ასწავლის.
გ) აფთიაქში მუშაობს.

15. რა ჰქვია ასეთ ტექსტს?

> გამარჯობა, ნათია!
>
> როგორ ხარ?
>
> მე კარგად ვარ. გუშინ ჩემი დის კონცერტზე ვიყავი. ძალიან მომეწონა. გუშინ გვიან დავბრუნდი.
>
> მომწერე შენი ამბავი.
>
> ხატია

ა) დიალოგი. ბ) ლექსი. გ) წერილი.

LIVEWORKSHEETS